პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 178 (10 097)

14 სექტემბერი ხუთშაბათი, 1989 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

„სპორტი ყველასათვის"

ესაა საკავშირო დაუსწრებელი შეჯიბრება, რომელიც ტარდება ავტონომიურ რესპუბლიკებს, ავტონომიურ ოლქებს, ქალაქებსა და რაიონებს შორის.

● დაუსწრებელი ასპარეზობის მიზანია მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მოზიდვა გამაჯანსაღებელ სპორტში.

● ქალაქები და რაიონები დაწყვილებულია — დაწყვილებისას გათვალისწინებულია გეოგრაფიული პიროებები და ტრადიციების მსგავსება.

პირობები: თითოეულმა ადამიანმა ყოველდღიურად 20 წუთი უნდა დაუთმოს ნებისმიერ ვარჯიშს. დრო ითვლება „პირობით კილომეტრად". 20 წუთზე ნაკლები დრო ჩათვლაში არ შედის.

● წყვილთა შორის გამარჯვებული ვლინდება კილომეტრების ჯამით და მასობრივობით. განსაკუთრებული უურადღება ეთმობა მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც არ ვარჯიშობენ ფიზკულტურასა და სპორტში.

● შეჯიბრებები ტარდება ერთი კვირის განმავლობაში წელიწადში ორჯერ. ზაფხულ-შემოდგომის გოლო თვეა სექტემბერი, ზამთრისა — მარტი. ვადებს თავად დათქვამენ დაწყვილებული რეგიონები.

პროგრამას ადგენენ ადგილებზე, იმის მიხედვით, რა უფრო სასარგებლო და საინტერესოა მოვარჯიშეებისთვის.

● მეტოქე ქალაქები სისტემატურად ცვლიან ერთმანეთში ინფორმაციას. მოსახლეობის დაინტერესების მიზნით ადგილებზე უნდა გამოიყენონ ფახალისების სხვადასხვა ფორმები.

● გამარჯვებულები ვლინდებიან შრომით კოლექტივებს, საამქროებს, ბრიგადებსა და რგოლებს, აგრეთვე საცხოვრებელ მიკრორაიონებსა, ეუჩებსა, დაბებსა და სკოლებს შორის.

შემაჯამებელი მასალები იგზავნება საქართველოს სპორტსახკომში 1990 წლის 1 ნოემბრამდე.

დაწვრილებით ცნობებს შეგიძლიათ გაეცნოთ დებულებაში.

გაეცანით მეტოქე წყვილებს:

გათუმი — სოხუმი	დმანისი — წალკა
ცხინვალი — მარნეული	დუშეთი — ხობი
ქუთაისი — რუსთავი	ზესტაფონი — სენაკი
ფოთი — ქ. გორი	ზუგდიდი — თელავი
ჰიათურა — ტყიბული	კასპი — მცხეთა
ზუგდიდი — წყალტუბო	ლანჩხუთი — საბარეჯო
აბაშა — ჩხოროწყუ	ლენტეხი — მესტია
ადიგენი — ასპინძა	ოზურგეთი — სამტრედია
ამბროლაური — ონი	მაიაკოვსკი — სიღნაღი
ახალქალაქი — ახალციხე	ხარაგაული — თიანეთი
ახმეტა — ქარელი	საჩხერე — წალენჯიხა
გოგდანოვკა — ყაზბეგი	თერჯოლა — ვანი
გოლინისი — ყვარელი	თეთრიწყაროო — წითელწყაროო
გორჯომი — ვანი	ცაგერი — ჩოხატაური
გარდაბანი — მარნეული	
მარტვილი — ლაგოდეხი	
გორი — ხონი	
გურჯაანი — ხაშური	

თბილისის რაიონები:

ლენინის — გლდანის	
ორჯონიკიძის — საბურთალოს	
კიროვის — კალინინის	
26 კომისრ. — საქარხნო	
1 მაისის — ოქტომბრის	

რაგბი: საქართველო — ზიმბაბვე

ისტორიის თავფურცელი

ქუთაისი. მთავარი სტადიონი. 12 სექტემბერი. წვიმა.

საქართველო — ზიმბაბვე 18:8 (10:8)

საქართველო: საცერაძე; ა. ხვედელიძე, ო. ლიპარტელიანი (მაჩიტიძე, 33), ჭეიშვილი, ხამაშურიძე; ძაგნიძე, ლოსაბერიძე; ბაკურაძე, ტურძელაძე, ლილუაშვილი (ფირცხალავა, 71); ფხაკაძე, ხუადე, ისაკაძე (ოდიშარია, 49), გ. გიუნაშვილი; ღუდუშაური.

ზიმბაბვე: ბუიტენდაგი; ძინომურუმბი, ლეთჩერი, ლუითინში, კამბა; ფერეირა, ჰოფმაიერი; ვოთსონი (დევიდსონი, 25), ალბასინი, გარვი; ნიალა, დეკლერკი, მაკინტოში, დოუსონი; ბოთა.

მსაჯი — გოჩა აბაშიძე (საქართველო).

გოლები: საქართველო — ლელო (35, ჯგუფური), 4 საჯარიმო (5, 10, 48, 56: ძაგნიძე); ზიმბაბვე — საჯარიმო (3, ფერეირა).

ალბათ დადგება დრო, როცა ამ თამაშს გვერდს ვერ აუქცევენ ქართული სპორტის ისტორიკოსები. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან 12 სექტემბერს იშვა არა მარტო მორაგბეთა ეროვნული ნაკრები, არამედ პირველად ქართული სპორტის ისტორიაში, საქართველოს რჩეულთაგან შედგენილი გუნდი ოფიციალურ მატჩში, როგორც ტოლი და სწორი, ისე შეეჯიბრა საკმაოდ ძლიერ მეტოქეს და დაჯაბნა კიდეც.

ტესტ-მატჩების წინ მთელს მსოფლიოში წესადაა მიღებული შემადგენლობათა წინდაწინ გამოცხადება. რა თქმა უნდა, საქართველოსა და ზიმბაბვეს ნაკრებთა მწვრთნელებიც ასე მოიქცნენ. მაგრამ თამაშის დღეს, ტრავმების გამო, თუ ტაქტიკური მოსაზრებებით, შემადგენლობები უმნიშვნელოდ შეიცვალა. ზიმბაბველებმა ოთხი „განუცხადებელი" მოთამაშე გამოიყვანეს და კიდევ ორ მორაგბეს ამპლუა შეუცვალეს, ჩვენებმა კი სამი სათადარიგო (საცერაძე, ფხაკაძე და ისაკაძე) ძირითად შემადგენლობაში გადმოიყვანეს. ამ ცვლილებათა შედეგად „თხუთმეტ კაცში" 8 ქუთაისელი და 7 თბილისელი აღმოჩნდა.

თამაშის დღეს მთელს დასავლეთ საქართველოში გადაუღებლად წვიმდა. ავდარმა, მართალია, ვერ დაიფრთხო რაგბის თავდადებული ქომაგები, რომლებიც თბილისიდანაც მრავლად ჩამოვიდნენ, მაგრამ სპორტის რიგითმა მოყვარულებმა, ეტყობა, შინ დარჩენა არჩიეს. უთუოდ ამიტომ იყო, თამაშს მხოლოდ 12-15 ათასი მაყურებელი რომ დაესწრო. ნაირგვარი დროშებით, საყვირებით, სხვა მუსიკალური საკრავებით მეტწილად კი ქოლგებითა და სახელდახელოდ ნაშოვნი ცელოფანით აღჭურვილნი, ისინი თამაშის დაწყებიდან დამთავრებამდე მხურვალედ ქომაგობდნენ ჩვენს ბიჭებს, მღეროდნენ ხალხურ სიმღერებს, თანაც შეძახილს — „ლელო, ლელო, საქართველო!" ხშირად დააგუგუნებდნენ ხოლმე. უნდა ითქვას, რომ ამგვარი მოწოდება ფორმითაც და შინაარსითაც რაგბს შშვენივრად მოერგო.

ავდარი, ცხადია, თამაშსაც დაასვამდა დაღს, მით უფრო, რომ ტესტ-მატჩის დაწყებამდე ერთ საათს მოედანი ქუთაისელ და თბილისელ ვეტერან მორაგბეებს და ჩოხატაურელ და მარტვილელ ლელობურთელებს დაეთმოთ. ეს, რაღა თქმა უნდა, მინდორს არ მოუხდებოდა. გარდა ამისა, გადაუღებელმა წვიმამ მრავალგზის დახაზული მოედანი მაინც წაშალა, რითაც მოთამაშეებსაც და მსაჯებსაც გაურთულა საქმე.

მოკლედ, თამაში ჭირდა. სველი ბურთი და მინდორი ქართველ მორაგბეებს არასდროს აძლევდა ხელს. როგორც თამაშის შემდეგ გაირკვა, სტუმართა საქმე უარესად ყოფილა: მშრალი ჰავის გამო, ზიმბაბველებს შინ თურმე საერთოდ არ უთამაშიათ წვიმაში. ასე რომ, მეტოქეთა შანსების თანაფარდობა წვიმას არ შეუცვლია.

ქართველებმა ამინდის კვალობაზე და იმის გათვალისწინებით, რომ, გასაგები მიზეზების გამო შეუთამაშებელნი იყვნენ, ერთადერთი სწორი ტაქტიკა აირჩიეს — თამაში მორკინალთა აქტიურობაზე ააგეს. ჩვენი თავდამსხმელების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ დღეს გააფთრებით მოთამაშე მეტოქეს წარმატების იოტისოდენა შანსიც არ დაუტოვეს, პირწმინდად აჯობეს შერკინებაში, მოლში, ზედახორაში და, განსაკუთრებით, ღია თამაშში. ქართველებს მხოლოდ აუტის მოწოდებისას გაუჭირდათ ტანმაღალ დეკლერკთან და მაკინტოშთან გამკლავება. მაგრამ აქ ჩვენებს მხსნელად სტუმართა ნახევარმცველთა წყვილი მოევლინა. ძაგნიძისაგან და, განსაკუთრებით, ლოსაბერიძისაგან განსხვავებით, ფერეირამ და ჰოფმაიერმა არასწორად წარმართეს თამაში და ისედაც რის ვაინაჩრობით მოპოვებული ბურთები ფეხით დარტყმების შედეგად მეტოქეს ჩააბარეს. უთუოდ ამიტომ იყო, რომ მატჩის საწყისი მონაკვეთის გარდა, როცა სტუმრებმა ანგარიში გახსნეს. მათ

ᲘᲮ. ᲒᲕ.-4 ᲒᲒ

1989 წლის 15 სექტემბერს თბილისის ბადრაკის სასახლეში ჩატარდება საქართველოს სსრ სპორტსახკომის გაფართოებული კოლეგიის სხდომა საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგებისა, X სპარტაკიადისა და XXV ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ამოცანების შესახებ.

დასაწყისი 11 საათზე.

რეგისტრაცია 10 საათიდან.

კოლეგიის სხდომაზე მოწვეულნი არიან რესპუბლიკის ასსრ, ა/ო, ქალაქებისა და რაიონების ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტების, ნფსს საბჭოების თავმჯდომარეები, სპორტული სკოლების დირექტორები, სპორტული გაზეთების ხელმძღვანელები, მწვრთნელები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები.



ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘ - ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘ



პარიზი. აქ დამთავრდა მსოფლიო თასის გათამაშება სინქრონულ ცურვაში. საპატიო ჯილდო აშშ-ს სპორტსმენებმა მოიპოვეს — 63 ქულა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ კანადის (47 ქულა), იაპონიის (44 ქულა) და საბჭოთა კავშირის (32 ქულა) გუნდები. როგორც ხედავთ, საბჭოთა სინქრონისტებს საუკეთესო შედეგი აქვთ ევროპის გუნდებს შორის.



თბილისის რთული ტრასები

გუშინ, თბილისში მიმდინარე ქალთა მრავალდღიან საკავშირო ველოსპორტზე (მას სსრ კავშირის ჩემპიონატის სტატუსი აქვს) დასვენების დღე იყო. რბოლაში მონაწილე თერმეტმა კოლექტივმა უკვე ოთხი ეტაპი ჩაათავა. ჩემპიონატს პირად ჩათვლაში ლიდერობს პროფკავშირთა საკავშირო სპორტსაზოგადოების ნაკრების წევრი სვეტლანა მინტიანსკაია (მან, სხვათა შორის, მეოთხე ეტაპი თბილისი — ანაური — ჯვრის მონასტერი მოიგო) — 7:53.41. ლიდერს სულ მცირედით ჩამორჩებიან უკრაინის გუნდის წევრები ნატალია ოუგანუკი და ტატიანა დიუკი, რომლებიც შესაბამისად მეორე (7:54.19) და მესამე (7:54.27) ადგილებზე იმყოფებიან.

გუნდურ ჩათვლაში ოთხი ეტაპის შემდეგ დაწინაურებულთა შორის არიან: პროფკავშირთა საკავშირო სპორტსაზოგადოების ნაკრები — 23:44.45, უკრაინა — 23:45.42 და კუბიშევი — 23:49.20.

ველორბოლის პირველი ნახევრის დამთავრების შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა შეჯიბრების მთავარ მსაჯს, ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ეროვნულ კომისარს იოსებ გოცირიძეს და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● ჩვენი რესპუბლიკა ველოსიპედიტ ქალთა ამ რანგის ტურნირებს იშვიათად მასპინძლობს. რამ განაპირობა საკავშირო ჩემპიონატის თბილისში ჩატარება?

— ველოსპორტის მესვეურები ბოლო დროს ცდილობენ საკავშირო შეჯიბრებათა ტრასა საერთაშორისო სტანდარტებს მიუახლოვონ. თბილისის შემოგარენში უხვადაა რთულპროფილიანი გზები გრძელი აღმართებითა და თავბრუდამხვევი თავდაღმართებით. საკავშირო შრავალდღიანი ველორბოლის ჩატარება წორედ ამ გზებზე გადაწყდა და, ვფიქრობ, ორგანიზატორები არ შემცდარან. ყოველ შემთხვევაში მწვრთნელებიცა და მონაწილენიც პროფილით კმაყოფილნი არიან.

● შეჯიბრების მონაწილეთა შორის არ არიან უძლიერესნი. რატომ აარიდეს თავი მათ საკავშირო ჩემპიონატს?

— თავი კი არ აარიდეს, უბრალოდ, ეს შეჯიბრება დაემთხვა ველორბოლას, რომელიც იტალიაში ტარდება. ქვეყნის პირველი გუნდი იქ იმყოფება და ამის გამო თბილისში ჩამოსვლა უძლიერესებმა ვერ მოახერხეს.

● მონაწილეთა შორის არ არის საქართველოს გუნდი. რა არის ამის მიზეზი?

— ჩვენ გვყავს საკმაოდ კარგი ახალგაზრდული კოლექტივი, თბილისში კი, მოგეხსენებათ, მოზრდილები გამოდიან. თუმცა ჩვენი ველოსპორტის ლიდერი, ქობულეთელი სტელა ჰრიახინა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო ნაკრებმა ჩარიცხა შემადგენლობაში და იგი არც თუ წარუმატებლად გამოდის. მაგრამ პრიახინა ერთია, გუნდს კი რამდენიმე მაღალი კლასის ველოსიპედისტი სჭირდება.

● როგორ გრძნობს თავს პრიახინი მოზრდილებში?

— როგორც თევზი წყალში. ერთი ეტაპი (ზაჰესი—რუსთავი და უკან) მან შოიგო კიდეც, ოთხი ეტაპის ჯამში კი ჯერ-ჯერობით მეექვსე ადგილზეა, თანაც ლიდერს 2 წუთით ჩამორჩება. ორი წუთი ასეთ რთულ რბოლაში ვერაფერი უპირატესობა გახლავთ. „ალბათ ადვილი შესაძლებელია მან ბაკუმჯობესოს კიდეც შედეგი. მინდა ისიც გითხრათ, რომ ყველაზე აქტიური ველოსიპედისტისთვის განკუთვნილი მაისური სწორედ პრიახინას გადაეცა.

● როგორია რბოლის ფორმულა და როდის მთავრდება იგი?

— ჩასატარებელი დარჩა სამი ეტაპი. რბოლის მონაწილენი ჯერ ზაჰეს — რუსთავ—ზაჰესის ძიძართულებით იბრძოლებენ, 15 სექტემბერს თბილისის ზღვის გარშემო, ბოლო ეტაპი კი, ჩვენის აზრით, ყველაზე რთული იქნება— ინდივიდუალური რბოლა თბილისი — წყნეთის გზატკეცილზე. ველოსპორტის მოყვარულებს მინდა შევახსენო, რომ ყოველი ეტაპის სტარტი დილის 10 საათისთვისაა დანიშნული.

ოლიმპიური ქარტია

წესები

37. თანმხლები პერსონალი

ოლიმპიურ სოფლებში ცხოვრობენ მხოლოდ სპორტსმენები და ის პირები, ვინი მომსახურებაც მათთვის აუცილებელია. ხაორგანიზაციო კომიტეტმა თანმხლებ პერსონალს ოლიმპიურ სოფლებში უნდა მისცეს შესვლის უფლება ან გაითვალისწინოს იქ მათი დაშვება ეოკ-ის მიერ დათქმული და სოკ-ის მიერ დამტკიცებული რაოდენობის შესაბამისად, რაც მითითებულია ოფიციალურ განმარტებებში.

38. ატაშე

ხაორგანიზაციო კომიტეტსა და ეოკ-ს შორის თანამშრომლობის გაიოლების მიზნით ეოკ-ი ნიშნავს ატაშეს თავისი ქვეყნისთვის ხაორგანიზაციო კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ. ატაშე უნდა ლაპარაკობდეს იმ ქვეყნის ენაზე, რომელზეც ის მიმაგრებულია.

ატაშე ახრულებს შუამავლის როლს ხაორგანიზაციო კომიტეტსა და თავის ეოკ-ს შორის და მუდმივ კავშირშია ორივე კომიტეტთან შგზავრობის, დაბანაკების და სხვა ხაკითხების გადაწყვეტის მიზნით. ეოკ-სა და ორგკომიტეტს შორის თანამშრომლობის გაიოლებისათვის, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტსა და ხაორგანიზაციო კომიტეტს შორის იქმნება კავშირის კომიტეტი. ოლიმპიური თამაშების ყველა ხაორგანიზაციო ხაკითხში, რომელიც ეხება ეოკ-ს, ხაორგანიზაციო კომიტეტი ხაკონსულტაციოდ მიმართავს აღნიშნული კავშირის კომიტეტს.

კავშირის კომიტეტი მოხსენებას წარუდგენს სოკ-ის აღმასკომს.

ნებისმიერ ხადავო ხაკითხში ხაბოლოო გადაწყვეტილების მიღების უფლება აქვს მხოლოდ სოკ-ს.

39. ხელოვნება

ხაორგანიზაციო კომიტეტი სოკ-ის თანხმობით აწყობს გამოფენებს და მხატვრულ გამოსვლებს, რომელიც წარმოადგენს ორგანიზატორ ქვეყანას (არქიტექტურა, მუსიკა, ლიტერატურა, ფერწერა, ქანდაკება, ფოტოგრაფია და სპორტული ფილატელია) და ადგენს ახეთი გამოფენებისა და გამოსვლების ჩატარების ვადებს. პროგრამაში შეიძლება თეატრალური დადგმების, ხაოპერო და ხაბალეტო სპექტაკლების ან ხიმფონიური კონცერტების ჩართვა.

პროგრამის ეს ნაწილი იხევე მაღალ დონეზე უნდა ჩატარდეს, როგორც სპორტული შეჯიბრებები, მასთან ერთდროულად და ახლოს. ხაორგანიზაციო კომიტეტმა უნდა გასწიოს ამ პროგრამის ფართო რეკლამა.

40. სოკ-ის წესების დაცვის ვალდებულება

ხაორგანიზაციო კომიტეტი ვალდებულებას კისრულობს დაიცვას სოკ-ის წესები. ხაორგანიზაციო კომიტეტის წესდება და დებულება, აგრეთვე მის მიერ ხელმოწერილი ყველა კონტრაქტი უნდა შეესაბამებოდეს სოკ-ის წესებს და მკაფიოდ ეურდნობოდეს მას. ყველა კონტრაქტი, გარდა სოკ-თან შეთანხმებული გამონაკლისისა, სოკ-ის მიერ წინასწარ უნდა იყოს მოწონებული.

41. სატრანსპორტო ხარჯები

ხაორგანიზაციო კომიტეტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ხარჯები მონაწილეებისა და ოფიციალური პირებისა, კერძოდ, დაბინავების ხარჯები, მინიმალური იყოს.

III. სპორტი

42. ტექნიკური დებულება

ყველა ხაკითხზე, რომელიც ეხება ოლიმპიური თამაშების ტექნიკურ მხარეს, ხაორგანიზაციო კომიტეტი ეთათბირება შესაბამის ხაერთაშორისო სპორტულ ფედერაციას. მან თვალყური უნდა ადევნოს იმას, რომ სპორტის სხვადასხვა ხახეობები თანაბარ პირობებში იყოს. აუცილებელია გაკეთდეს ყველაფერი, რომ სპორტის ეს ხახეობები შევიდეს პროგრამაში, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია სსფ-ის აზრი. უთანხმოების შემთხვევაში ხაბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს სოკ-ს. სპორტის თითოეულ ხახეობაში შეჯიბრების ჩატარების წესრიგიანობისათვის პასუხს აგებს შესაბამისი სსფ ხაორგანიზაციო კომიტეტთან კონსულტაციის შემდეგ.

43. ხაერთაშორისო ფედერაციები

სოკ-ი აღიარებს ოლიმპიურ პროგრამაში შეტანილი სპორტის ხახეობების ხელმძღვანელ შემდეგ ხაერთაშორისო სპორტულ ფედერაციებს:

ხამოყვარულო მძლეოსნობის ხაერთაშორისო ფედერაცია (იააფ)
ნიჩბოსნობის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფინა)
ხამოყვარულო კალათბურთის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიბგ)
ბობსლეისა და ტობოგანის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიბტ)
ხამოყვარულო კრივის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიბა)
კანოეს ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიკა)
ხამოყვარულო ველოსპორტის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიაკ)
ხაცხენოსნო სპორტის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფეი)
ფარიკაობის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიე)
ტანვარჯიშის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიგ)
ძალოსნობის ხაერთაშორისო ფედერაცია (იაფ)
ხელბურთის ხაერთაშორისო ფედერაცია (იგფ)
ბალახის ჰოკეის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიხ)
უინულზე ჰოკეის ხაერთაშორისო ფედერაცია (იიხფ)
ძიუდოს ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიდ)
ციგაობის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფილ)
ხამოყვარულო ჭიდაობის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფილა)
ხამოყვარულო ცურვის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფინა)
ციგურაობის ხაერთაშორისო კავშირი (ისუ)
თანამედროვე ხუთჭიდისა და ბიათლონის ხაერთაშორისო კავშირი (უიბმბ)
ხათხლამბურო სპორტის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფის)
ჩოგბურთის ხაერთაშორისო ფედერაცია (იტფ)
ხახროლო სპორტის ხაერთაშორისო კავშირი (უიტ)
მშვილდოსნობის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფიტა)
ფრენბურთის ხაერთაშორისო ფედერაცია (ფივბ)
აფროსნობის ხაერთაშორისო კავშირი (იიარუ).

44. სპორტული პროგრამა

სპორტის სახეობების, დისციპლინებისა და შეჯიბრებათა სახეების ჩართვა.

სპორტის სახეობები

ოლიმპიურ პროგრამაში სოკ-ის გადაწყვეტილებით ჩართული სპორტის ხახეობა ითვლება სპორტის ოლიმპიურ ხახეობად (იხ. წესები 42). იგი უნდა უპასუხებდეს წინამდებარე წესების კრიტერიებს, აგრეთვე სოკ-ის კრიტერიებს, სპორტის ოლიმპიურ ხახეობებთან დაკავშირებით.

პროგრამაში შეიძლება ჩართონ მხოლოდ სპორტის ხახეობები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ვაუთა შორის არანაკლებ 50 ქვეყნისა ხამ კონტინენტზე.

პროგრამაში შეიძლება ჩართონ სპორტის ხახეობები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ქალთა შორის 35 ქვეყანაში ხამ კონტინენტზე.

ზამთრის თამაშების პროგრამაში შეიძლება ჩართონ მხოლოდ სპორტის ის ხახეობები, რომლებიც ფართოდაა გავრცელებული ქალთა შორის (ან) ვაუთა შორის არანაკლებ 25 ქვეყნისა ხამ კონტინენტზე.

სპორტის ხახეობები ჩაირთვებიან ოლიმპიურ პროგრამაში მორიგ თამაშებამდე 6 წლით ადრე. ყოველგვარი შემდგომი ცვლილებების შეტანა დაუშვებელია.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ №№ 131, 133, 139, 158, 167.

სპორტის, კულტურისა და დასვენების ცენტრი რომ გახდეს...

ცხადია, შეამჩნევდით, რომ უკვე წელიწადია, „რაც სპორტის სასახლის მისადგომები გადაუკეტია ყრუ მესერს. „ბარიკადების“ იქით მშენებლებს მოჰკრავთ თვალს — კეთდება მიწისქვეშა გადასასვლელი სპორტის სასახლესა და სასტუმრო „აპარას“ შორის.

— ეს საკითხი კარგა ხანია იდგა დღის წესრიგში — გვეუბნება სასახლის დირექტორი (იგი აქ რიგით მეექვსეა), პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **თენგიზ ლომიძე** — აი პროექტის ხორცშესხმა კი მხოლოდ შარშან დაიწყეს. აღსანიშნავია, რომ „აპარა“ თბილისში ჩამოსულ სპორტსმენთათვის, ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეთათვის, ასე ვთქვათ, საბაზო სასტუმროა. ახლა სპორტსმენებს სასტუმროდან სასახლეში მისვლა და უკან დაბრუნება შეეძლებათ ქუჩაზე გადაუსვლელად, პირდაპირ საკარჯიშო კოსტუმებში. წარმოიდგინეთ, რა მოსახერხებელია ეს, განსაკუთრებით ზამთარში.

● გადასასვლელს, ალბათ, სხვა დანიშნულებაც ექნება...

— აქ, რომ იტყვიან, მთელი „მინიატურული ქალაქი“ მოთავსდება — სუვენირებისა და „სოიუზპეჩატის“ მაღაზიები, საპარიკმახერო, ზმის ჩამწერი სალონი, გაკეთდება მუსიკალური შადრევანი ორი ნაირსიმაღლის აუზით, განზრახულია სპორტული წიგნის მაღაზიის „ისინდის“ ფილიალის /გახსნაც. სხვათა შორის, ამავე გზით მოხვდებიან სპორტის მოყვარულები სპორტის სასახლის ახალ კაფე-ბარში, რომელიც ერთდროულად 250 კაცს მოემსახურება. ცხადია, ადგილზე დარჩება ვესტიბიულის რვავე ბუფეტი. რა დასამალია, კვების საკითხი ჩვენს სასახლეში მოუგვარებელი იყო მუდამ, რაც ამიერიდან ვფიქრობთ, მკვეთრად გამოსწორდება.

● თბილისის სპორტის სახახლის სალონები ესოდენ ორიგინალურ შენობას დღეს აშკარად არ შეეფერება.

— გეთანხმებით, ახალი პროექტით მათ მიწის ქვეშ გადაიტანენ, ამასთან ექვსის ნაცვლად რვა საგანათებას, სახურავს, გასახდელებს, საშხაპეებს, ინტერიერს, ტრიბუნებს, რომელთა ტრადიციული ყვითელი ფერი თანამედროვე ტონებში (ოთხ ფერად) გადაწყდა.



● ჟურნალისტები მაინცა და მაინც კმაყოფილნი არ იყვნენ სახახლეში მუშაობის პირობებით...

— ალბათ, ახლა აღარ დაგვემდურებით. კორესპონდენტებისათვის გაფართოებულ პრეს-ლოჟასთან ერთად პრეს-ცენტრიც გვაქვს და პრეს-ბარიც.

● რედაქციაში ბევრი წერილი მოდის იმის თაობაზე, რომ ჩვენი სპორტის სახახლე ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა ფიზკულტურისა და სპორტის ჭეშმარიტ კერად. ხშირად აქ სპორტული ხახეობის ხანახეობის ნაცვლად... როკ-ჯგუფების კონცერტებს, ვიდეოჩვენებას თუ გაწვრთნილ ცხოველთა ატრაქციონს გვთავაზობენ.

— საქმე ისაა, რომ როდესაც არ არის სპორტული შეჯიბრებები, აი როგორც ახლა, ცხადია, ვცდილობთ სპორტის სასახლის ტრიბუნები მაყურებლებით შევავსოთ... არასპორტული საღამოების ხარჯზე. მოგეხსენებათ, სასახლე სამეურნეო ანგარიშზეა და უქმად დგომის უფლება არა გვაქვს.

● და მაინც, მიგვაჩნია, რომ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღე ბ ე ლ ი მუშაობა სახახლეში, რბილად რომ ვთქვათ, არაა ხათანადო ხიმაღლეზე.

— ჩვენც არა ვართ კმაყოფილი. პირდაპირ გეტყვით: სასახლეს უკვე კარგა ხანია არა ჰყავს მეთოდისტი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ დარგში. ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ ხელფასი ძალზე დაბალია. მაინც გულდასმით ვეძებთ კვალიფიციურ სპეციალისტებს. ახლა ალბათ არც დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებზე ვიტყვით უარს. თითქოს ურიგო ჯანმრთელობის ზონა არა გვაქვს, მაგრამ, ვიმეორებ, საქმე ისევ და ისევ კვალიფიციური სპეციალისტის უყოლობით ფერხდება. თუმცა ერთგვარად ვასწორებთ ამ ხარვეზს ათლეტიზმისა და უ-შუს ჯგუფების არსებობით.

● ამას წინათ, კიევიდა და მოსკოვის „დინამოს“ სპორტის სახახლეებში ოლეგ ხლობინისა და ლევ იაშინის დიდებული ხალამბენეფისები გაიმართა. უნდა ვიფიქროთ, თქვენც ხიამოვნებით უმასპინძლებდით ამგვარ ხალამოებს...

— ჩვენი კოლექტივის მიზანი სწორედ ის არის, რომ სპორტის სასახლე გადაიქცეს ახალგაზრდობის კულტურისა და დასვენების ცენტრად. გულწრფელად გვსურს ჩვენთან რაც შეიძლება მეტი შეხვედრები მოეწყოს გამოჩენილ სპორტსმენებთან. გაცილება დიდი სპორტიდან, თუ გნებავთ, სპორტსმენთა საქორწინო რიტუალი და ა. შ. საერთოდ კი ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები ხშირად უნდა გავიხსენოთ. აბა, მითხარით: სად არიან, ვთქვათ, დიტო შანიძე და როსტომ აბაშიძე — კაცმა არ იცის! რატომ არ შეიძლება მოვაწყოთ შეხვედრა ქეთევან ლოსაბერიძესთან, ალექსანდრე მეტრეველთან, ომარ ფხაკაძესთან... გამოვუშვათ მათდამი მიძღვნილი ლამაზი ფერადი ბუკლეტები, სამკერდე ნიშნები. ვიმპელები, როგორც ამას მოსკოვში, კიევში თუ ბალტიისპირეთში აკეთებენ. ცხადია, ყოველივე ეს პირველ რიგში, ჩვენი საქმეა ხომ შეძლეს სპორტის მუზეუმის თანამშრომლებმა, სპორტზე ფანატიკურად შეყვარებულმა ქალებმა, უნიკალური ექსპონატებისათვის მოეყარათ თავი ჩვენი სასახლის კედლებში. თუ ასე ვცემთ პატივს ჩვენი სპორტის ისტორიას, მაშინ რატომ ვივიწყებთ დღევანდელობას?

ეხიუპარა ოთარ ნოზაძე.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

ბილიარდის დაბრუნება

ბილიარდი ჩვენს ქვეყანაში კარგა ხნით იყო შეტანილი „შავ სიაში“. მას ისეთსავე ბრალდებას უყენებდნენ, როგორსაც, ვთქვათ, ბანქოს თამაშს — აზარტულიაო და რკინის ფარდისგაღმელთა გასართობად თვლიდნენ.

მაგრამ ბოლო ხანს სახელმწიფო და სპორტული ფუნქციონერებიც კი დარწმუნდნენ, რომ ამ მშვენიერ, უზუსტეს თამაშს საბჭოთა ხელისუფლებისათვის მაინც და მაინც დიდი ზიანის მოტანა არ შეეძლო და... ნელ-ნელა აინთო მწვანე შუქი ბილიარდის მოყვარულთათვის. მანამდე კი ბილიარდი, ეს ყველამ იცოდა, „იატაკქვეშეთში“, ანდა დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში განაგრძობდა მორცხვად არსებობას.

 დღეს კი ოფიციალური შეჯიბრებებიც ეწყობა. ერთი-ორი ასეული ტურნირის პატრონობა ცნობილმა ფირმებმაც იკისრეს და გამარჯვებულთათვის სოლიდური ფასნა დააწესეს. ალბათ ბევრმა იცის, თუ რა წარმატებით ითამაშა ეს შეჯიბრებებში თბილისელმა დავით ბერსენაძემ.

ეს ტურნირი მოსკოვში ჩატარდა, 17 სექტემბერს კი თბილისში, კიროვის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დაიწყება საქართველოს ჩემპიონატი ბილიარდში. ჩვენს რესპუბლიკაში ამ თამაშს ბევრი მოყვარული ჰყავს, მათ შორის კიის ცნობილი ოსტატები (თუნდაც გივი კობოსნაძე ავიღოთ) და კარგა ხნის შემდეგ განახლებულ შეჯიბრებაზე მაყურებელი ბევრ საინტერესოს იხილავს.

მონაწილეები ძირითადად ე. წ. პირამიდაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს, მაგრამ ორგანიზატორებმა (საქართველოსა და თბილისის ალკკ კომიტეტები, რესპუბლიკის სპორტსახკომი) ივარაუდეს, რომ იგი შედარებით ნაკლებ სანახაობრივი, ასე ვთქვათ „პროფესიონალთა“ თამაშია და პროგრამაში „ამერიკანკაც“ შეიტანეს.

ჩემპიონატი ჩატარდება ოთხ მაგიდაზე, რომლებიც საგანგებოდ მოამზადეს. დაწესებულია სხვადასხვა პრიზები.

მაშ ასე, **17-24 სექტემბერს ბ[illegible] შვთა კალათბურთის სახახლეში ა[illegible] წვეულ ბილიარდის მოყვარულებს.** შეჯიბრება დაიწყება 17, 18, 19, 20 სექტემბერს 12 საათზე, 22-23 სექტემბერს — 16 და 24 სექტემბერს — 12.00 საათზე. 21 სექტემბერს ჩემპიონატის მონაწილეები ისვენებენ.

I ლიგა

12 სექტემბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 32-ე ტურის შეხვედრები.

„ბურია“ (ლანჩხუთი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 3:2 (3:0)

ლანჩხუთი. „ბურიის“ სტადიონი. 12 სექტემბერი.

„ბურია“: აბუსერიძე, ტყებუჩავა, ოლეფირენკო, დანელია, კაბისაშვილი, ცომაია, ჟორდანია, დოზმოროვი, კორლალიძე (უგრელიძე), ფრდონაშვილი, გურული (ბერიძე).

ასკ „კარპატი“: კოვალენკო, ბენკო (მედლიში), ბუნიაკი, ვოიტენკო, ფედინი, კოგუტი, შევჩუკი, გიი, კუხლევსკი, ლენდელი, ბონდარუკი.

მსაჯი ვ. ოვჩინიკოვი (მოსკოვი).

ლიგის ერთ-ერთი ლიდერისა და აუტსაიდერის შეხვედრა დაიწყო ისე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო: ლანჩხუთელმა ფეხბურთელებმა თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა, სწრაფად შეუტიეს და უკვე მე-17 წუთზე დაწინაურდნენ. ლვოველთა კარში დანიშნული საჯარიმო კარგად გამოიყენა ჟორდანიამ — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმართა საჯარიმო მოედანზე შეიჭრა გურული, მის წინააღმდეგ უხეშად ითამაშეს, მსაჯმა 11-მეტრიანი დანიშნა და ჟორდანიამ მეორე ბურთი გაიტანა. 32-ე წუთზე ანგარიში უკვე იყო 3:0. ეს გოლი დოზმოროვმა შეაგდო.

მაგრამ თამაშის მეორე ნახევარი სრულიად სხვაგვარად წარიმართა. მასპინძლებმა, ეტყობა, საქმე მოთავებულად ჩათვალეს, მოადენეს უყრადღება და დაცვაში დაშვებული შეცდომების შედეგად ორი ბურთი გაუშვეს. ამასთან, ორივე საპასუხო გოლის ავტორი ლენდელი იყო.

შემდგომში „გურიამ“ კვლავ გამოიასწორა მდგომარეობა და, თუმცა, ძნელ ბრძოლაში, საიც მიაღწია გამარჯვებას.

ანთანდილ ორმოცაძე.
(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).

ამავე დღეს წარუმატებლად ითამაშეს ქუთაისის ტორპედოელებმა, რომლებმაც ალმა-ათაში ანგარიშით 3:6 წააგეს „კაირატთან“.

განვლილ ტურში კვლავ დაკარგა ქულა გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა ცსკა-მ. არმიელებმა ფრედ დაამთავრეს თამაში დონის როსტოვში „როსტსელმაშთან“—0:0.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „კოტაიკი“ (აბოვიანი) 1:1, „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 1:1, „შინიკი“ (იაროსლავლი)—„ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 1:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	31	20	7	4	78-20	47
„ბურია“	30	19	6	5	54-26	44
„კაირატი“	31	18	6	7	59-27	42
„დინამო“ სტ.	30	13	11	6	37-28	37
„ფახთაქორი“	31	14	8	9	48-26	36
„ფაკელი“	30	14	8	8	33-21	36
„ნეფთჩი“	30	13	9	8	40-31	35
„გეოლოგი“	31	14	5	12	37-36	33
„მეტალურგი“	30	13	7	10	42-29	33
„ნისტრუ“	31	15	2	14	35-47	32
„კოტაიკი“	30	10	11	9	33-25	31
„ტავრია“	30	11	8	11	45-42	30
„შინიკი“	31	10	9	12	33-48	29
„როსტსელ.“	30	9	11	10	28-30	29
„ტორპედო“	29	12	4	13	44-48	28
„დინამო“ ბ.	31	9	8	14	30-48	26
„სპარტაკი“	30	9	7	14	37-45	25
„ყუბანი“	31	9	7	15	30-56	25
„კუზბასი“	31	6	10	15	16-33	22
ასკ რ.	30	7	7	16	38-55	21
„დაუგავა“	31	5	5	21	18-56	15
ასკ „კარპატი“	31	4	6	21	29-67	14

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

12 სექტემბერს დაიწყო ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების 1989-90 წლის გათამაშება.

თასების მფლობელთა თასი

„სლოვანი“ (ჩეხოსლოვაკია) — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) 3:0, „პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „სელტიკი“ (შოტლანდია) 2:1, „უნიონი“ (ლუქსემბურგი) — „იურგოردენი“ (შვეცია) 0:0, „ვალიადოლიდი“ (ესპანეთი) — „ჰამრუნ სპარტანსი“ (მალტა) 5:0, „ფერენცვაროში“ (უნგრეთი) — „ჰაკა ვალკეაკოსკი“ (ფინეთი) 5:1, „ბელენენსეში“ (პორტუგალია) — „მონაკო“ (საფრანგეთი) 1:1.

უეფა-ს თასი

„ვიტოშა“ (ბულგარეთი) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 0:0 „აკიანესი“ (ისლანდია) — „ლიეჟი“ (ბელგია) 0:2, „სოშო“ (საფრანგეთი) — „ენესი“ (ლუქსემბურგი) 7:0, „ჰიბერნიანი“ (შოტლანდია) — „ვიდეოტონი“ (უნგრეთი) 1:0, „ლა ვალეტა“ (მალტა) — „ვიენა“ (ავსტრია) 0:4, „გურნიკი“ (პოლონეთი) — „იუვენტუსი“ (იტალია) 0:1. ამ მატჩში ბურთი გაიტანა „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა ზავაროვმა.

გუშინ

თასების მფლობელთა თასი: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „კორკ სიტი“ (ირლანდია) 5:0.

უეფა-ს თასი: „დინამო“ (კიევი) — მტკ ვმ (უნგრეთი) 4:0.

ხულიგნობის აღსაკვეთად

ინგლისელ ფეხბურთის მოყვარულთა ვანდალიზმი და ხულიგნობა საყოველთაოდ ცნობილია. საქმე იქამდე მივიდა, რომ დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებამ გადაწყვიტა პოლიციის სპეციალური ქვედანაყოფი შექმნას საფეხბურთო ხულიგნებთან საბრძოლველად.

დიდი ბრიტანეთის პოლიციის ამ ახალ სამსახურს ეწოდა „საფეხბურთო უხიფათობის ეროვნული ქვედანაყოფი“, თავის საქმიანობას იგი 1 ოქტომბრიდან დაიწყებს. ინგლისის შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით ქვედანაყოფის მთავარი ამოცანაა პოლიციური რაზმების მოქმედებათა კოორდინაცია ფეხბურთის ხულიგანთა საქციელის აღსაკვეთად, როგორც უშუალოდ დიდ ბრიტანეთში, ისე უცხოეთშიც. სპეცდანაყოფს ვრცელი კარტოთეკა ექნება ყველა ცნობილი საფეხბურთო ხულიგნის აღრიცხვით.

ინგლისის საფეხბურთო ასოციაცია მიესალმა ამ გადაწყვეტილებას. ასოციაციის წარმომადგენელმა გლენ კერტონმა განაცხადა, რომ საფეხბურთო უხიფათობის ეროვნული ქვედანაყოფის შექმნა დადებით როლს შეასრულებს ხულიგნობის აღკვეთის საქმეში.

ფეხბურთის კვირეული ქუთაისში

ფეხბურთის კვირეულმა საგრძნობლად გამოაცოცხლა ქუთაისის სპორტული სარბიელები. ავტოქარხნისა და ლენინის სახელობის რაიონების წარმოება-დაწესებულებებმა ჯერ „შინაური“ შეჯიბრებები გამართეს, შაბათ-კვირას კი ქალაქში უძლიერესის ტიტულის მოსაპოვებლად იასპარეზეს ფინალური ტურნირში, რომელიც მინისტარის ჭარხნის ფიზკულტურელთა გამარჯვებით დასრულდა. ფეხბურთის კვირეულის დღეებში ყველაზე აქტიურნი, ცხადია, საფეხბურთო სკოლების აღსაზრდელები იყვნენ, მაგრამ „უსაქმოდ“ არც ქალაქის უბნების მცხოვრებნი დარჩენილან — მათ ქალაქის საბინაო სამმართველოს ხელმძღვანელობით ჩატარებულ შეჯიბრებებში იასპარეზეს. სულ ამ სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო 1500-მდე ენთუზიასტმა.

ზარბეგ ბერიაშვილი:

„დრო გვჭირდება მხოლოდ...“

საქართველოში იმდენი გამოჩენილი ფალავანია, თავისუფლად შეიძლება დიდი და საპატიო სიმბოლური კოპორტა შევადგინოთ. მათ მიერ სპორტში გაკვალული გზა რამდენადმე მსგავსიცაა: თავი იახელეს უდიდეს ტურნირებში, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში, ოლიმპიადებში (უფრო გვიანდელი პერიოდის მოჭიდავეებს ვგულისხმობთ), ოღონდ თითოეულის სპორტულ ბიოგრაფიაში დაკვირვებით ჩახედვა იმასაც დაგანახვებთ, რომ ქართველი ფალავანი არ არის განზოგადებული ცნება — ცალ-ცალკე ყველანი თავიანებური ნიჭისა და ხასიათის, საკუთარი სტილისა და ხელწერის სპორტსმენები იყვნენ, მათ თავიანთი, მკვეთრად გამოკვეთილი პიროვნული თვისებებითაც გაამდიდრეს სპორტული მყარო.



ეი, ასეთი რთული, „გამოუცნობი“ ილეთებით სძლევდა მეტოქეთა წინააღმდეგობას 60-იანი წლების ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი ფალავანი ზარბეგ ბერიაშვილი (მარჯვნივ).

კაცს, რომელიც ევროპის ოთხგზის ჩემპიონია და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც ატარებს, რომელსაც თერთმეტი წლის განმავლობაში ბადალი არ ჰყოლია მთელ ქვეყანაში, უიღბლოს, თითქოს არ უნდა ეძახდნენ. ზარბეგ ბერიაშვილზე მოგახსენებთ, 60-იანი წლების ერთ-ერთ უძლიერეს ფალავანზე. მასზე ამბობენ, უიღბლო იყოო და, რაკი ამბობენ, ცხადია, საბუთიც ექნებათ. მივყვეთ „ეშრალ“ სტატისტიკას: 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. დელი. 70 კგ. 1. ზარიუჩი; 2. ბერიაშვილი; 3. ათალაი; 1965 წელი. მანჩესტერი. 70 კგ. 1. მოვაჰედი; 2. ბერიაშვილი; 3. ათალაი; 1967 წელი. დელი. 1. მოვაჰედი; 2. ბერიაშვილი; 3. ვილჩევი.

მუდამ მეორე? არა, სსრ კავშირისა და ევროპის ჩემპიონატების კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურს იშვიათად თუ ვინმეს დაუმობდა. მხოლოდ მსოფლიო პირველობებზე რჩებოდა მეორე ადგილზე. ეს იყო ბედი, უფრო სწორედ, უბედობა, თუმცა, ზოგჯერ მსაჯებსაც „უკისრიათ“ მიზეზიანი ფორტუნის როლი.

ისიც ბედი იყო, რომ რაღაც საოცარი დამთხვევით, ზარბეგ ბერიაშვილის წონაში მოიყარეს თავი ერთმანეთზე უკეთესმა მოჭიდავეებმა. სიმართლე უნდა ითქვას, თითოეული მათგანი ღირსი იყო ჩემპიონობისა. იყვნენ კიდეც: ბულგარელი ენიუ ვილჩევი — მსოფლიო და ოლიმპიური (1964 წ.) პირველობების ტრიუმფატორი, მრავალგზის მეორე და მესამე პრიზიორი; ირანელ გულშემატკივართა კერპი აბდულა მოვაჰედი — ოლიმპიური ჩემპიონი და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი (!). თანაც უნიკალური რეკორდსმენი, რომელმაც ექვსივე გამარჯვება ზედიზედ, 1965-1970 წლებში მოიპოვა. ახლა სხვა მსოფლიო ჩემპიონები გავიხსენოთ: იაპონელი ხარიუჩი, მონღოლი სრეტერი და თურქი ათალაი! მოკლედ, საოცარი „კომპანია“ იყო.

ქართველი ფალავანი, კიდევ ვიმეორებთ, არც ერთს არ ჩამოუვარდებოდა. არც ხასიათში იყო საქმე. „იშვიათად მინახავს ასეთი ბრძოლისუნარიანი, შეუპოვარი მოჭიდავე, მისი გამძლეობა ხომ ყველასათვის იყო ცნობილი,“ — ასე ახასიათებს თავის ძველ თანაგუნდელს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გურამ საღარაძე.

ჭიდაობის იმჟამინდელი წესებიც თითქოს საგანგებოდ ზარბეგ ბერიაშვილის მეტოქეთა წისქვილზე ასხამდა წყალს. მაშინ ის იმარჯვებდა, ვინც მეტ ქულას მოაგროვებდა, თუნდაც რომელიმე ბრძოლა დაეთმო. ტოკიოს ოლიმპიადაზე ბერიაშვილმა ვილჩევს მოუგო, მაგრამ ბულგარელი მაინც გახდა ჩემპიონი.

სხვები, უფრო ანგარიშიანები, ქართველ მოჭიდავეს აშკარად სჯობდნენ ქულების დაგროვებაში, თანაც ასეთ ვითარებაში წილისყრას მეტი მნიშვნელობა ეძლეოდა: ვინმე სუსტი შეგხვდებოდა, მოუგებდი და — ქულებსაც ბლომად დაგროვებდი. „წილისყრაში იღბალი არასოდეს მჭონია“, — ძალზე უბრალოდ თქვა ერთხელ ბერიაშვილმა, როცა ამ საკითხზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

.... აქ ერთი ამბავი გვინდა გავიხსენოთ. ნამდვილად თავშესაქცევი ამბავი იქნებოდა, მწარე ფინალი რომ არ ჰქონდეს: დელის მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა და გამარჯვებულად ზარბეგ ბერიაშვილი გამოაცხადეს. მერე კი მოხდა საოცარი რამ: ვილჩევმა, რომელსაც მესამე ადგილი მიეკუთვნა, გააპროტესტა ერთ-ერთი ადრინდელი შეხვედრა, თავისიც გაიტანა და მაშინ, როცა შეჯიბრება დამთავრებული იყო, იგი კვლავ შეახვედრეს იაპონელ მოჭიდავეს. შერკინება ამჯერად ბულგარელმა მოიგო. მას, რასაკვირველია, ქულებიც მოემატა, რის წყალობითაც ახლა მოვაჰედთან შეხვედრის უფლებაც მიეცა. ამ „დაუგეგმავ“ შეხვედრაში ბედმა ირანელს გაუღიმა, მანაც, რა თქმა უნდა, დამატებითი ქულები მიიღო და ქართველ სპორტსმენს გაუსწორო. ბედის ირონია იყო, რომ ამ „კარუსელის“ ხელახლა დატრიალებამ ვილჩევს არაფერი არგო — იგი მაინც მესამე ადგილზე დარჩა.

...ჭიდაობაში ყველა ილეთს თავისი სახელი აქვს, მაგრამ ყველა თავისებურად ასრულებს მათ, ზარბეგ ბერიაშვილი კი ისე ჭიდაობდა, მის „ხრიკებს“ ადვილად ვერავინ გაუგებდა. როგორ, რა გზით იწყებდა ილეთს, როგორ ამთავრებდა, ეს ყველასთვის გამოცანა იყო. სანამ ძირს გაშლართულ მის მეტოქეს არ დაინახავდნენ. ასეთი თვალშეუვლები მოძრაობების, ამ განსაკუთრებული მანერის გამო მისი გამოსვლა მუდამ საინტერესო, მრავალუცნობიან ამოცანას ჰგავდა. ცოტა ჯიუტიც იყო და თავის სტილს, თავის გზას არ ღალატობდა. ეს — ჭიდაობაში, თორემ გუნდში ყველამ იცოდა მისი კეთილი გულის ამბავი და მასთან ყველას მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა.

ზარბეგ ბერიაშვილი ახლაც მადლიერია ქართული ჭიდაობისა, რომლის მდიდარი ილეთები შემდგომ კიდევ უფრო დახვეწა თავისი მუდმივი მწვრთნელის, გიორგი როსტიაშვილის ხელმძღვანელობით. ახლა ცოტა საკვირველი ჩანს მათი ურთიერთობა. ზარბეგ ბერიაშვილს, უკვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რომ სწავლობდა, ფიზკულტურის გაკვეთილზე ჰკითხეს, რა შეგიძლიაო. ჭიდაობაო, — იმანაც უპასუხა და გიორგი როსტიაშვილთან „გაამწესეს“. დიახ, სერიოზულად ვარჯიში ასე გვიან, უკვე ინსტიტუტში სწავლისას დაიწყო. სამაგიეროდ სარბიელიც გვიან დატოვა. ჭიდაობდა, ვიდრე ძალა შესწევდა. 1972 წელს (მეხუთედ) მოიგო თბილისის საერთაშორისო ტურნირი და მერე გულშემატკივრებს ხალიჩაზე ადარ

უნახავთ. „იგი თუმცა ბარიერად იყო „დიდ სპორტში“.

...ვსაუბრობთ და ქართულ ჭიდაობაზე ლაპარაკს არ წყვეტს. მის აზრს ჩვენც ვეთანხმებით: თავისუფალი სტილის მოჭიდავეს, სულ ცოტა ექვსი-შვიდი წელი სჭირდება იმისათვის, რომ „ხალხში გამოჩნდეს“. ვისაც „ქართულში“ უვარჯიშია, ეს აუცილებელი „სტაჟი“ მკვეთრად უმცირდება — ერთბაშად რამდენიმე წლით. ზარბეგ ბერიაშვილს ერთი ცოტა საკვირველი მეტოქე ჰყავდა, ქართველი, ცხაკაიელი კაცი — რობერტ ჯღამაძე, რომელსაც ქვეყნის ჩემპიონობა ჩამოართვა. ჯღამაძე მოსკოვის სახელით გამოდიოდა და, მისი მნახველები ირწმუნებიან, მარტო ქართული ჭიდაობის ილეთები იცოდა, იმით გაჭრონდა ლელო, თუმცა თავისუფალ ჭიდაობაში ასპარეზობდა და ძირს, „პარტერშიც“ უნდა გარჯილიყო.

ჯღამაძის გარდა ახალგაზრდა ჩემპიონმა საბჭოთა ქვეყნის სხვა გამოჩენილი ათლეტებიც ჩაყენა ნაკრების „მარქაფაში“: სინიავსკი, გუსოვი, ბესტაევი...

მსოფლიო ჩემპიონი კი 1969 წელს გახდა, ოღონდ მომდევნო წონაში (74 კგ). არ გეგონოთ, რომ ძველ „კომპანიას“ გაექცა, მოჭიდავეებს ასაკის მომატებასთან ერთად სულ უფრო მეტად უჭირთ საკუთარ წონასთან ბრძოლა... მაგრამ ოლიმპიადების „ვალი“ გაუსტუმარ დაინახავდნენ. ასეთი თვალშეუვლები მოძრაობების, ამ განსაკუთრებული მანერის გამო მისი გამოსვლა მუდამ საინტერესო, მრავალუცნობიან ამოცანას ჰგავდა. ცოტა ჯიუტიც იყო და თავის სტილს, თავის გზას არ ღალატობდა. ეს — ჭიდაობაში, თორემ გუნდში ყველამ იცოდა მისი კეთილი გულის ამბავი და მასთან ყველას მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა.

ზარბეგ ბერიაშვილი ახლაც მადლიერია ქართული ჭიდაობისა, რომლის მდიდარი ილეთები შემდგომ კიდევ უფრო დახვეწა თავისი მუდმივი მწვრთნელის, გიორგი როსტიაშვილის ხელმძღვანელობით. ახლა ცოტა საკვირველი ჩანს მათი ურთიერთობა. ზარბეგ ბერიაშვილს, უკვე პოლიტექნიკურ ინსტიტუტში რომ სწავლობდა, ფიზკულტურის გაკვეთილზე ჰკითხეს, რა შეგიძლიაო. ჭიდაობაო, — იმანაც უპასუხა და გიორგი როსტიაშვილთან „გაამწესეს“. დიახ, სერიოზულად ვარჯიში ასე გვიან, უკვე ინსტიტუტში სწავლისას დაიწყო. სამაგიეროდ სარბიელიც გვიან დატოვა. ჭიდაობდა, ვიდრე ძალა შესწევდა. 1972 წელს (მეხუთედ) მოიგო თბილისის საერთაშორისო ტურნირი და მერე გულშემატკივრებს ხალიჩაზე ადარ

ისტორიის თავფურცელი

(დასასრული)

მხოლოდ თამაშის ბოლოს მოაღწიეს ქართველთა ლელომდე, მაგრამ ვეღარაფერს გახდნენ.

მორკინალთა მეტისმეტმა აქტიურობამ (თუმცაღა აუცილებლობით გამოწვეულმა), თამაშის სანახაობრივი მხარე საგრძნობლად დააზარალა, ჩვენების შუამარბები კი საერთოდ უბურთოდ დატოვა. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ბურთი უკანა ხაზამდე მაინც აღწევდა, ისევ შეუთამაშებლობა იჩენდა თავს და ჩანაფიქრი განუხორციელებელი რჩებოდა.

შეუთამაშებლობა თავიდან მორკინალებსაც ეტყობოდათ, მხარდამჭერნი მოიერიშეს ჩამორჩებოდნენ. მაგრამ თანდათან, ლოსაბერიძისა და მესამე ხაზის მოთამაშეთა მაღალი ოსტატობის წყალობით, ჩვენებმა საერთო ენა გამონახეს, შეხმატკბილებულად ამოქმედდნენ და ლამის იყო, წაელკეს მეტოქე გამუდმებული ძალისმიერი იერიშებით. ამას, ცხადია, დამცველი გუნდი ვერ უძლებდა. და წესების დარღვევით შლიდა ქართველთა შეტევებს. ძაგნიძემ, მართალია, კარს ააცდინა ორი იოლი საჯარიმო, მოდნის შუა ხაზიდან დარტყმული ბურთიც ძელს მოახვედრა, მაგრამ ოთხჯერ უნაკლოდ დაარტყა და გუნდის შესამჩნევი უპირატესობა ქულებად აქცია. მანვე დაამიწა ბურთი ზიმბაბველთა კარის ხაზს მიღმა, როცა „ხუთმეტრიან“ შერკინებაში რვის ნაცვლად ათი ქართველი ჩაება და სტუმრებს მათსავე ლელომდე უკან დაახევინა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გაიმართა ნახევარფინალის მეექვსე ტურის მატჩები: ეტს (კრასნოიარსკი) — „ელმავალი“ (თბილისი) 26:6; სსა (მონინო) — „სლავა“ (მოსკოვი) 13:7, „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ავიატორი“ (კიევი) 22:16.

გასამართავია სამი გამოტოვებული მატჩი: „ავიატორი“ — სსა, ეტს — „ფილი“, „ელმავალი“ — „ფილი“. ეს უკანასკნელი თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე კვირას, 17 სექტემბერს მოეწყობა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

I-IV ადგილებისთვის						
„აია“	6	6	0	0	12	(43 ბ)
სსა	5	3	1	1	7	(43 ა)
ეტს	5	3	0	2	6	(40 ბ)
„ლოკომ.“	6	2	1	3	5	(33 ა)
V-VIII ადგილებისთვის						
„სლავა“	6	2	2	2	6	(28 ა)
„ავიატორი“	5	1	2	2	4	(25 ა)
„ფილი“	4	1	0	3	2	(23 ბ)
„ელმავალი“	5	0	0	5	0	(22 ბ)

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 14 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ მნ.	24	16	4	4	49-24	36
„სპარტაკი“	24	14	7	3	51-18	35
„დინამო“ კ.	24	14	7	3	47-15	35
„დნეპრი“	24	13	8	3	32-23	34
„უალგირისი“	23	12	6	5	36-15	30
„ლოკომოტ.“	24	11	4	9	42-27	26
„ტორპედო“	24	8	10	6	29-28	26
„დინამო“ მ.	24	10	4	10	39-36	24
„არარატი“	23	8	6	9	28-38	22
„შახტიორი“	24	8	5	11	26-32	21
„დინამო“ თბ.	22	6	8	8	31-33	20
„მეტალისტი“	23	6	4	13	23-39	16
„ზენიტი“	24	6	2	16	21-43	14
„ჩერნომორ.“	24	4	5	15	30-51	13
„როტორი“	23	4	5	14	18-45	13
„პამირი“	24	4	5	15	20-52	13

ზუგდიდის „დინამო“ — ფინალში

გრძელდება საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზკულტურული კოლექტივების გუნდებს შორის.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ასპარეზობაზე კარგად გამოდის ზუგდიდის „დინამო“. ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრა დინამოელებს ტაშკენტში „ავტომობილისტთან“ ჰქონდათ (პირველი მატჩი ზუგდიდში მასპინძელთა გამარჯვებით — 4:0 დამთავრდა). მათ ძლიერად ჩაატარეს ეს შეხვედრაც და გაიმარჯვეს — 2:1 და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

გადამწყვეტ მატჩში მათი მეტოქე ოდესის „დინამო“ იქნება. პირველ შეხვედრას 24 სექტემბერს გამართავენ ზუგდიდელები სტუმრად. გამმეორებითი მატჩი ზუგდიდში დანიშნულია 1 ოქტომბერს.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ფოთის ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გუნდს.

ქ. ზელენოგრადში ჩატარებული ტურნირის შემდეგ, სადაც ფოთელმა ჭაბუკებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ისინი ქ. მურომს ეწვივნენ. აქ გაიმართა ტრადიციული მე-13 საკავშირო ტურნირი, საბჭოთა კავშირის გმირ ნ. გასტელოს პრიზზე, ჩვენმა ჭაბუკებმა არც აქ შეირცხვინეს პირი. დაამარცხეს მურომის „როდინა“ — 4:1, ქობულეთის ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლის გუნდი — 5:0, ორეხოვოზუევოს „ზნამია ტრუდა“ — 3:2. მომდევნო ტურში ჩვენი ჭაბუკების მეტოქე იყო მოსკოვის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდი. ეს შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ მასპინძელთა გუნდი „ტემპი“ და ფოთელები. ფოთელებმა გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 4:1 და საპატიო გარდამავალი თასი მოიპოვეს. ამ მატჩში 3 ბურთი გაიტანა ზ. ღაღანიძემ, რომელსაც საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი გადაეცა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ: ზ. შამუგია, მ. ჭურღულია, მ. კობახიძე, ე. აფხაზავა, გ. სიხარულიძე, ზ. ფილია, მ. კინწურაშვილი, გ. მაკალათია, ზ. ღაღანიძე, რ. დოლბაია, დ. საბულუა, ს. კოკაია, ლ. ზოფერია, ზ. ფაცია, ე. მატაბერია, გ. ალანია.

ტრისტან მანია.

ასე ფიქრობს კომანეჩი

კუბის ტანვარჯიშის ფედერაციის მიწვევით ჰავანაში იმყოფებოდა ოლიმპიური ჩემპიონი, რუმინელი ნადია კომანეჩი. სახელგანთქმულმა ტანმოვარჯიშემ წაიკითხა ლექციების ციკლი და ადგილობრივ მწვრთნელებს ორკვირიანი სემინარი ჩაუტარა.

კომანეჩიმ რამდენიმე დღე დაჰყო დედაქალაქის ტანვარჯიშულ ცენტრში და პრაქტიკული დახმარება გაუწია ნორჩ სპორტსმენებს. უცხოელმა სპეციალისტმა მაღალი შეფასება მისცა ადგილობრივ მწვრთნელთა მუშაობას და გამოთქვა რწმენა, რომ რამდენიმე კუბელი გოგონა (ისინი ჯერ ათი წლისანი არიან) სამი-ოთხიოდე წლის შემდეგ ტანვარჯიშის ნამდვილი „ვარსკვლავები“ გახდება. კომანეჩის აზრით ამ ქვეყნის ბავშვები არაჩვეულებრივი ელასტიკურობითა და გრაციით გამოირჩევიან და მისი რწმენაც სწორედ ამ თვისებებს ემყარება.

მყინვარწვერისკენ

ბუშინ რესპუბლიკის მოედნიდან ყაზბეგისაკენ გეზი აიღო სამმა ავტობუსმა, რომლებშიც იყვნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ტრადიციული შეკრება-ალპინიადის მონაწილენი — აკადემიის სისტემაში შემავალი სხვადასხვა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ახალგაზრდა მეცნიერ-თანამშრომლები.

— შეკრება-ალპინიადის მარშრუტი ტრადიციულად [illegible] ექსპედიციის [illegible] ელია. აკადემიის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის კომისიის სწავლულმა მდივანმა გიორგი ბერძენიშვილმა, — უყაზბეგის რაიონი.

ჯგუფში 80 კაცია. უმრავლესობა ადრეც მონაწილეობდა ასვლებში. ამჯერად გადაწყვეტილი გვაქვს ავიდეთ მყინვარწვერსა და მწვერვალ „სპარტაკზე“. ახალბედების ნაწილი კი ორწვერს შეუტევს...

ზაჟადრაკი ფესტივალები გრძელდება

ვანში ჩატარდა მოსწავლეთა საჭადრაკო ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, სევასტოპოლის, ფოთის, ოზურგეთის, ლანჩხუთის, აბაშის, ხონის, ონის, ადიგენისა და ვანის მოჭადრაკეები. სრული შემადგენლობით გუნდების გამოყვანა, გარკვეული მიზეზების გამო, ბევრმა ქალაქმა ვერ შესძლო, რის გამოც საპრიზო ადგილებისათვის მხოლოდ ხუთი გუნდი იბრძოდა. ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი დაიკავა ოზურგეთის ნაკრებმა, მეორე ადგილზეა ფოთის გუნდი, მესამეზე კი ვანელი მოჭადრაკეები გავიდნენ.

ჭაბუკთა პირად პირველობაში გამოდიოდა ხონელი გოგონა — ოსტატობის კანდიდატი ინდირა წიკვრავაძე. გაიმარჯვა ოსტატობის კანდიდატმა ფირუზ ცაგარეიშვილმა, რომელმაც 7,5 ქულა დააგროვა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ფოთელი დათო კოდუა, სევასტოპოლელი მაქსიმ მოზოლევსკი და ფოთელი ზაურ შენგელია. კოეფიციენტით მეორე ადგილი წილად ხვდა კოდუას. ფესტივალის დებულების თანახმად ცაგარეიშვილი, კოდუა და შენგელია მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკისი 1990 წლის ვაჟთა ჩემპიონატში.

გოგონათა ტურნირში პირველი ადგილი არავის დაუთმო სევასტოპოლელმა ნატაშა პოპოვამ (7,5 ქულა). მეორე ადგილზე (7 ქულა) გავიდა სუსანა სევიკიანი (ოზურგეთი), ხოლო მესამე ადგილი (6 ქულა) წილად ხვდა ქუთაისელ ნინო თევზაძეს. ასევე ექვს-ექვსი ქულა მოაგროვეს ფოთელებმა ნინო მიქავამ და თამილა აბრამიამ. სევიკიანმა, თევზაძემ და მიქავამ რესპუბლიკის ქალთა 1990 წლის ნახევარფინალურ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვეს.

გურამ მამავარიანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი. სპორტსახალგაზრდობის დასავლეთ საქართველოს ზონის კონსულტანტ-ინსპექტორი.

პროფესიული კრივის სამყაროში

დაამშვა?

მართლაც ფანტასტიკური შედეგები აქვს ცნობილ ამერიკელ ზანგ მოკრივეს, მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონის პროფესიონალთა შორის მაიკ ტაისონს. ყველას აკვირვებს მისი „ნამსახურებრივი სია“, რომელიც საკმაოდ მოკლე, მაგრამ ამავე დროს ძალზე შთამბეჭდავია — 37 ბრძოლა, 37 გამარჯვება, აქედან 33 ნოკაუტით. ვერაფერს იტყვი, შესაშური შედეგია, ამასთან ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ბოლო სამ შეხვედრაში, რომელიც მან თავისი წოდების დასაცავად გამართა, ყველაზე მედგარი მეტოქე აღმოჩნდა ინგლისელი ფრენკ ბრუნო, რომელმაც ოთხნახევარი რაუნდი გაძლო რინგზე და უდრტვინველად იტანდა ჩემპიონის უძლიერეს დარტყმებს. ბოლო ბრძოლაში კი, კარლ უილიამსთან ტაისონმა 93-ე წამზე მიაღწია გამარჯვებას, ორი წამით გვიან, ვიდრე მაიკლ სფინგსთან, რომელიც მან 91-ე წამზე ნოკაუტში გაგზავნა.

თუმცა ასეთი სარეკორდო გამარჯვებების შედეგად ტაისონის ჩემპიონის ტიტული კი რჩება ხელშეუხებლად, მაგრამ მის მფლობელს საკმაოდ ცუდ სამსახურს უწევს. რეიტერის სააგენტოს ცნობით მორიგი ბრძოლა სამეფო გვირგვინის პრეტენდენტ კანადელ დონოვან რადოკთან, რომელიც ოქტომბრისთვისაა დაგეგმილი, ტაისონისათვის ჩვეულ ამერიკის ქალაქების ატლანტიკ-სიტისა ან ლასვეგასის რინგზე კი არა, კანადაში, კერძოდ ქ. ედმონტონში გაიმართება.

საქმე ისაა, რომ პირველი ორი ქალაქის დარბაზების მფლობელებს ესოდენ ხანმოკლე სანახაობაში მილიონების ჩადება, ფულის ფუჭად გადაყრად მიაჩნიათ. „ტაისონი, სამწუხაროდ, ისე ხელათ ამარცხებს თავის მეტოქეებს, რომ კრივის მოყვარულებს უამრავ თანხად უჯდებათ იმის ხილვა, როგორ მეუსიერად უსწორდება ჩემპიონი მორიგ პრეტენდენტს“, — განაცხადა ატლანტიკ-სიტის დარბაზის მფლობელმა ბერნი დილონმა.

დაუმორჩილებელი „ვარსკვლავები“

ნუთუ „ვარსკვლავებს“ არ უყვართ როცა ფოტოსურათს ულებენ? ძნელი დასაჯერებელია, მით უფრო იმის გამო, რომ ფოტოგრაფია რეკლამის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს, რეკლამა კი მეტ-ნაკლებად ყველა სპორტსმენს სჭირდება, განსაკუთრებით — პროფესიონალებს.

მაგრამ არის საერთო წესის გამომრიცხავი შემთხვევები, რომლებშიც ხშირად სასამართლოც კი ერევა. ცნობილია, მაგალითად, კრივში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის მაიკ ტაისონის სკანდალი ფოტორეპორტიორთან, რომლის ჩაფარცხვა მოკრივეს საკმაოდ დიდი თანხა დაუჯდა. თავის დროს ფართოდ გახმაურდა ამერიკელი პროფესიული კალათბურთელის კარიმ აბდულ-ჯაბარის საქციელიც, როცა მან ფოტოაპარატი დაუმტვრია კორესპონდენტს და კარგა მაგრადაც მიბეგვა.

ამ ცოტა ხნის წინ კი „თავი გამოიჩინა“ პროფესიულმა მოჭიდავემ ანდრე რენე როსომოფმა. ამ მოჭიდავეს ფიზიკური მონაცემების გამო (სიმაღლე 224 სანტიმეტრი, წონა 244 კილოგრამი) მეტსახელად გიგანტს ეძახიან. და აი, გიგანტმა ერთ-ერთი შეხვედრა 30 წამში წააგო. შედეგით განაწყენებულმა მოჭიდავემ ჯავრი ტელეოპერატორზე იყარა, ძლიერი დარტყმით ძირს დასცა იგი და კამერაც დაუმტვრია. საქმეში ჩაერია პოლიცია, რომლის ინსპექტორმა ჟურნალისტებს განუცხადა: „მადლობა ღმერთს, რომ „გიგანტმა“ წინააღმდეგობა არ გაგვიწია, თორემ ასეთი ძალის პატრონი დიდ უბედურებას დაატრიალებდა“.

წესრიგის დამრღვევი გაანთავისუფლეს მას შემდეგ, რაც მისმა მენეჯერმა ჯარიმის სახით 1200 დოლარი გადაიხადა. ტელეკომპანიამ კი, რომელშიც გალაბული ოპერატორი მუშაობდა საქმე სასამართლოს გადასცა.

ინფორმაცია

სტოკჰოლმი. საბჭოთა კავშირში ჩამოსულის წინ ნხლ-ს ჰოკეისტთა კლუბმა „ვაშინგტონ კეპიტელსმა“. აქ ამხანაგური შეხვედრა გამართა ადგილობრივ „ფიერესტადთან“. გაიმარჯვეს ამერიკელებმა — 7:4 (1:4, 1:0, 5:0).

ათენი. იუნიორ ფრენბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში იაპონიის გუნდი დამარცხა — 3:1.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098, თბილისი, ლენინის ქ. 24, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 93-97-32, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-38, „მერანი“ — 93-97-29, „ბართვა“ — 93-97-28.

ჩვენი ინდექსი 64435

ხელმოწერილია ს/ბ ცკ.-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ფეფინის ქ. 24. ასაკრძალი ოფსეტური წესით ბეჭდვითი კორპუსში: ხელმოწერილია, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 ეე 10493